

შპს „აივეი“ ს/ნ: : 404878325
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის რომელიც მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბერს

შპს აივეი ს/კ : 404878325
კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

ფინანსური მდგომარეობა	2024 წელი	2023 წელი	2022 წელი
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1475796	1645712	366098
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2879	11754	4966
მოკლევადიანი სესხი	1373140	0	0
მარაგები	57222	139769	204203
სხვა მოკლევადიანი აქტივები	17524	14896	16506
ძირითადი საშუალებები	455474	415138	379241
სულ აქტივები	3382035	2227269	971014
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	65427	154559	122682
საგადასახადო ვალდებულებები	57866	45446	49039
გამოუმუშავებელი შემოსავალი	656	7425	6933
სხვა ვალდებულებები	1960	0	0
სულ ვალდებულებები	125909	207430	178654
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	20	20	20
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	3256106	2019819	792340
სულ საკუთარი კაპიტალი	3256126	2019839	792360
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3382035	2227269	971014

დირექტორი

ირაკლი ვერულაშვილი

შპს აივეი ს/კ : 404878325
კონსოლიდირებული სრული შემოსულობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

საქმიანობის შედეგები	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი	7493628	7021644
გაყიდვების თვითღირებულება	-3778231	-3669876
საერთო მოგება	<u>3715397</u>	<u>3351768</u>
სხვა საოპერაციო შემოსავალი	160353	41648
დასაქმებულთა ანაზღაურება	-1603432	-1400890
ცვეთის ხარჯი	-75437	-56102
იჯარის ხარჯი	-357137	-293927
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-530029	-415018
სულ საოპერაციო ხარჯები	-2405682	-2124289
საოპერაციო მოგება	1309715	1227479
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2019839	792360
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-73428	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3256126	2019839

დირექტორი

ირაკლი ვერულაშვილი

შპს აივეი კონსოლიდირებული ანგარიში

1. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

- ✓ **მომზადების საფუძვლები.** მოცემული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია თავდაპირველი ღირებულების პრინციპის თანახმად. ფინანსური ანგარიშგებების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- ✓ **ფუნქციონალური ვალუტა.** კომპანიის თითოეული სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს სუბიექტი ახორციელებს საქმიანობას (ფუნქციონალური ვალუტა). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი (ლარი). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.
- ✓ **ძირითადი საშუალებები.** ქონება, მოწყობილობები და აღჭურვილობა მითითებულია თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში აკუმულირებული ამორტიზაციის გამოკლებით.
მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება. გაყიდვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).
- ✓ **ცვეთა.** მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდით.
- ✓ **მარაგები.** სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალო მასალებს და იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშვა მარაგების მათ არსებულ მდებარეობასა და პირობაში მოსაყვანად.
- ✓ **ფული და ფულის ექვივალენტები.** ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდური ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

- ✓ **დივიდენდები.** დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.
- ✓ **დამატებითი ღირებულების გადასახადი.** გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე.
- ✓ **სესხები.** სესხები აღირიცხება თვითღირებულებით.
- ✓ **სავაჭრო და სხვა დავალიანებები.** სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.
- ✓ 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

31 დეკემბერი 2024

ლარი/1 აშშ დოლარი 2.8068

ლარი/1 ევრო 2.9306

- ✓ **შემოსავლის აღიარება.** შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში

- ✓ კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა,

რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს.

შპს აი კაპიტალი ს/კ : 405322397
 ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

მიმდინარე აქტივები	2024წელი	2023 წელი	2022 წელი
ფულადი სახსრები	916866	486093	52246
სავაჭრო მოთხოვნები	6162	7146	2278
მოთხოვნა პერსონალის წინაშე	865	1047	1599
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსი	0	0	0
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	36725	71990	104357
გაცემული სესხები	46790		
სხვა მიმდინარე აქტივი	0	690	690
სულ მიმდინარე აქტივები	1007408	566965	161170
ძირითადი საშუალებები	103438	77345	47269
სულ გრძელვადიანი აქტივები	103438	77345	47269
სულ აქტივები	1110845	644310	208439
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	19272	57348	51218
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	34649	15276	20360
მიღებული ავანსი	328	0	0
სხვა ვალდებულებები	1961	0	0
სულ მიმდინარე ვალდებულება	56210	72623	71578
გრძელვადიანი ვალდებულება			
სესხი	0	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულება	0	0	0
სულ ვალდებულება	56210	72623	71578
საკუთარი კაპიტალი			
შპს კაპიტალი	373310	373310	373310
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	681325	198376	-236449
სულ კაპიტალი	1054635	571686	136861
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1110845	644310	208439

შპს „აი კაპიტალი“ ს/ნ: : 405322397
სრული შემოსულობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარებში)

საქმიანობის შედეგები	2024 წელი	2023 წელი
შემოსავალი	3513690	3247068
გაყიდვების თვითღირებულება	-1836613	-1828617
<u>საერთო მოგება</u>	<u>1677077</u>	<u>1418451</u>
სხვა შემოსავალი	60801	9392
ადმინისტრაციისა და გაყიდვების ხელფასების ხარჯი	-834718	-665438
ცვეთის ხარჯი	-25818	-16232
სხვა ხარჯები	-394393	-311348
მოგება / ზარალი, მოგების გადასახადის ხარჯამდე	482949	434825
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	482949	434825
გაუნაწილებელი მოგების საწყისი ნაშთი	198376	-236449
გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი	681325	198376

- ✓ **მოქმედი საწარმოს პრინციპი.** მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არანაირ არამაკორექტირებელ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია

1. კონსოლიდაციის საფუძვლები

შვილობილი კომპანიები

- ✓ შვილობილი კომპანიები არის ის საწარმოები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე.

- ✓ ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, საწარმოთა გაეთიანებისას, თავდაპირველად აღირიცხება შესყიდვის დღისთვის მათი რეალური ღირებულებით, არამაკონტროლებელი წილის მოცულობის მიუხედავად.
- ✓ ის ნამეტი ღირებულება, რომლითაც შეძენისას გადახდილი ღირებულება აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობით ვალდებულებების რეალურ ღირებულებას, აღიარდება როგორც გუდვილი. თუ შესყიდვის ღირებულება ნაკლებია ჯგუფის წილზე, შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების, ვალდებულებების და პირობით ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება პირდაპირ მოგება ზარალის ანგარიშგებაში.
- ✓ ზარალი, რომელიც განაწილებულია არამაკონტროლებელ წილზე არ აღემატება არამაკონტროლებელ წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი განაწილებულია ჯგუფზე.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებით ელიმინირებული ოპერაციები

- ✓ შიდა ჯგუფური ბალანსები და ოპერაციები და ნებისმიერი არარეალიზებული მოგება, რომელიც წარმოიქმნება შიდაჯგუფური ტრანზაქციებიდან ელიმინირებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. მეკავშირე საწარმოებთან ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული მოგებები ელიმინირებულია მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის საპირისპიროდ.

2. საწარმოს სტრუქტურა

- ✓ საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და ამოცანების ფართო სპექტრის შესაბამისად საწარმოს გააჩნია შემდეგი ძირითადი ქვედანაყოფები:
- ✓ სარესტორნო საქმიანობა და მასტან დაკავშირებული ოპერაციები, კომპანია ფლობს რამოდენიმე ფილიას და მომავალშიც გეგმავს ფილიალების დამატებას;

3. ბიზნეს გარემოსა და რისკების მიმოხილვა:

- ✓ მსოფლიო ეკონომიკაში არსებული კრიზისები, სხვადასხვა გარეშე და შიდა ფაქტორების შედეგად უცხოური ვალუტის მიმართ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობა გავლენას ახდენს იმპორტირებული პროდუქციის ფასებზე და

მოწოდების პირობებზე, რაც უშუალოდ აისახება საწაროს საქმიანობაზეც. ამასთან, საქართველოს შიდა ბაზარი არასტაბილურია და რეალურად არ გააჩნია მარეგულირებელ ინფრასტრუქტურა.

- ✓ სოფლიო პანდემიამ სერიოზული შეფერხება გამოიწვია კვების სექტორის განვითარებაზე.
- ✓ საწარმოს საქმიანობის არეალი მოიცავს თბილისს. საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის, საქმიანობის სფეროში მძაფრია კონკურენცია, რასაც საწარმო მეტნაკლებად უმკლავდება მარკენტიგული აქტივობისა, მაღალი ხარისხის და დახვეწილი მომსახურების ხარჯზე.
- ✓ ზემოთ აღნიშნული მიზეზების შედეგად მაღალია მარკენტიგული რისკები, რომელთა თავიდან აცილების მიზნით საწარმო მარკენტიგის, ეკონომიკური სამსახურების სისტემატურად აანალიზებენ ქვეყნის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას, მუშავდება რეკომენდაციები საწარმოს საქმიანობის ცალკეული სფეროს ნაწილობრივ შეზღუდვის ან გაფართოების, საქმიანობის შეჩერების ან ახალი მიმართულებების დანერგვის შესახებ.
- ✓ საწარმოს მიაჩნია, ბიზნესის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია სწორად განსაზღვროს ბაზარზე თავისი ადგილი „ნიშა“, რომელიც ნაკლებად „ოკუპირებულია“ ან არასაკმარისადაა გამოყენებული კონკურენტების მიერ.
- ✓ საქართველოს კანონში „თამბაქოს შესახებ კანონი“ შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც ეხება თამბაქოს ნაწარმის მოხმარების მაგნიტობას,
- ✓ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქმიანობის სფეროში, მაგრამ კომპანიამ შეზღუდვის გათვალისწინებით დაგეგმვა და განახორციელა რიგი ცვლილებები, რომელთაც კოჰაბიტირდა კანონის სრულ მოთხოვნებთან.

4. პროდუქციის ხარისხი:

- ✓ საწარმოს მიერ წარმოებული კვების პროდუქტების ხარისხისა და პროდუქტის უვნებლობის მახასიათებლების გაუმჯობესების მიზნით სისტემატურად ხდება შეძენილი პროდუქციის ვარგისიანობის კონტროლი;
- ✓ კვების პროდუქტების ხარისხი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ნედლეულისა და მასალების ხარისხზე, კომპანია ორიენტირებულია ხარისხიანი ნედლეულის შეძენაზე.

5. ფინანსური აღრიცხვა- ანგარიშგების სრულყოფა, შიდა კონტროლის პროცედურები

- ✓ საწარმო ბუღალტრულ აღრიცხვა ანგარიშგებას ბუღალტერიის მეშვეობით ახორციელებს სპეციალური კომპიუტერული პროგრამა „ორის ბუღალტერიისა“ ბუღალტერიის მეშვეობით;

- ✓ მომდევნო საანგარიშო პერიოდში იგეგმება საწარმოს საადრიცხო პოლიტიკის სრულყოფა;

6. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მდგომარეობა:


- ✓ კომპანიის თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან სეზონის შესაბამისი სპეცტანსაცმლით;
- ✓ მზარეულები უზრუნველყოფილნი არიან შრომის დაცვის საშუალებებით;
- ✓ შექმნილია ნორმალური სამუშაო გარემო არამარტო საწარმოო პერსონალის, არამედ მოსული სტუმრებისათვის და ნებისმიერი ტურისტისათვის.

7. მონაწილეობა სოციალური პროექტებში:

- ✓ კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას. კერძოდ, საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდში 41 შეადგენდა

დირექტორი

ირაკლი ვერულაშვილი



მმართველობითი ანგარიში

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

1.1. შპს „აივეი“ დაფუძნებულია 2010 წლის ნოემბერში.

1.2. საწარმოს დამფუძნებელი ;

✓ ირაკლი ვერულაშვილი - 50% წილის

✓ ირაკლი კაკაურიძე - 50% წილის

8. საწარმოს ძირითადი საქმიანობა:

✓ შპს „აივეი“-ის ძირითადი საქმიანობაა: კვება რესტორნებანი კაფე და სხვა საქმიანობა, რაც საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული არ არის.

✓ ფაქტობრივად საანგარიშგებო პერიოდში საწარმო ძირითადად ახორციელებდა სარესტორნო მომსახურეობას, კომპანიას გახსნილი აქვს 3 ობიექტი, რომელსაც ოპერირებს.

9. საწარმოს მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში

✓ შპს „აივეი“ 2019 წელს შექმნა შვილობილი კომპნია რომლის 100% წილის მფლობელია;

✓ საწარმო საანგარიშგებო პერიოდში არ გააჩნია წილი სხვა საწარმოში, შესაბამისად მეკავშირე საწარმო არ გააჩნია;

10. შვილობილი კომპანიები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო
შპს აი კაპიტალი	100%	საქართველო	04 მარტი 2019	კვების ობიექტი, რესტორანი

დირექტორი

ირაკლი ვერულაშვილი

